ცნობის ფურცელი

№ 1898 | შაბათი, 17 აგვისტო | 1896—1902 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 1898

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზ. „ცნობის-ფურცლის“ რედაქცია გულითადის მწუხარებით აუწყებს მკითხველთ, რომ 12 აგვისტოს, ნაშუადღევს 4 ს. 15 წ., მცირე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ამ გაზეთის თანამშრომელი

ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე, მიცვალებულის ბინაზე, ავჭალის ქუჩა გაგნიძის სახლი № 4. დასაფლავება მოხდება კვირას, 18 აგვისტოს. მიცვალებულს სახლიდან წაასვენებენ ქვაშვეთის ეკკლესიაში დილის 8 საათზე. (რ. 0—4)

ნატალია მერაბის ასული გაგუნია-ცაგარლისა, ივანე და გიორგი ანტონის ძენი ცაგარელნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი მეუღლისა და მეორენი ძმისა

ავქსენტი ანტონის ძის ცაგარლისას

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, მიცვალებულის ბინაზე, ავჭალის ქუჩა, გაგნიძის სახლი № 4. დასაფლავება მოხდება კვირას, 18 აგვისტოს. მიცვალებულს სახლიდან წაასვენებენ ქვაშვეთის ეკკლესიაში დილის 8 საათზე. (რ. 3—4)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ 12 ამა აგვისტოს გარდაიცვალა დრამატურგი და დრამატ. საზოგადოების საპატიო წევრი

ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, მიცვალებულის ბინაზე, ავჭალის ქუჩა, გაგნიძის სახლი № 4. დასაფლავება მოხდება კვირას, 18 აგვისტოს. მიცვალებულს სახლიდან წაასვენებენ ქვაშვეთის ეკკლესიაში დილის 8 საათზე. (რ. 3—4)

ქართულ სახალხო წარმოდგენების გამმართველი სექცია აუწყებს საზოგადოებას, რომ 12 ამა აგვისტოს გარდაიცვალა დრამატურგი

ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი

დასაფლავება—კვირას, 18 აგვისტოს. მიცვალებულს სახლიდან წაასვენებენ ქვაშვეთის ეკკლესიაში დილის 8 საათზე.

ქართულ დრამატიულ დასის მსახიობნი, აუწყებენ რა ქართულ საზოგადოებას დაუვიწყარის ამხანაგის

ავქსენტი ცაგარლის

გარდაცვალებას, სთხოვენ განსვენებულის პატივისმცემელთ დაესწრნენ იმის დაკრძალვას კვირას, 18 აგვისტოს. მიცვალებულს სახლიდან წაასვენებენ ქვაშვეთის ეკკლესიაში დილის 8 საათზე. (რ. 2—1)

კვირას, 18 აგვისტოს მეორმოცე დღეს გარდაცვალებისა

ანნა გიორგის ასულის კალობანსკისა

იქნება გარდახდილი წირვა და პანაშვიდი კალოუბნის ღვთის მშობლის ეკლესიაში, რასაც დედა მისი **ელისაბედ ივანეს ასული კალობანსკისა** და **დარია დიმიტრის ასული მუსხელოვისა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ.

19, 20, 21, 22, 23 и 24-го Августа

Въ Магазинѣ

П. С. ДОРОЖНОВА

Сололакская улица домъ Гургенова

НАЗНАЧЕНА

съ 19-го Августа на шесть дней т. е. 19, 20, 21, 22, 23 и 24-го Августа ежегодно назначаемая обычная

РАСПРОДАЖА НА ОСТАТКИ

Поступитъ на распродажу до 40,000 остатковъ.

По случаю громадной обширности магазина, остатки сгруппированы для распродажи изъ всѣхъ другихъ отдѣленій фирмы.

Скидка противъ прошлыхъ лѣтъ значительно увеличена: скинуто отъ 30 до 60% съ рубля.

Обращаемъ вниманіе на поразительную дешевизну цѣнъ.

Полотно для бѣлья чисто-льняное отъ 16 к. ар.
Полотно полосатое для полотенецъ $6^{1}/_{2}$ к. арш.
Мадаполламъ крученый отъ 8 коп. арш.
Простыни 1/сп. отъ 65 коп. за штуку.

Саратовская сарпинка отъ 7 к. за аршинъ

Блузки дамскія цвѣтныя со скидкой 60% съ рубля.

Масса товаровъ поступитъ для распродажи.

Въ дни распродажи магазинъ будетъ открытъ съ 9 часовъ утра до 2-хъ часовъ дня и съ 5 до 8 часовъ вечера.

Примѣчаніе: продажа исключительно только за наличные деньги. (5—1)

ფოთის საბუღალტერიო კურსები ა. კ. გიგინეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პირობები და პროგრამები მსურველთ გაეგზავნება უფასოდ. (ნ. 20—15)

ხონის დედათა მარიამის სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ განმეორებითი **ეგზამენები** მოხდება 20 და 21, ხოლო მისაღები—22 და 23 აგვისტოს. თავისუფალი ადგილი საკმაოა როგორც მოსამზადებელ, ისე უფროს კლასებში. (5—1)

ფოთის ქალაქის გამგეობა

აცხადებს იმათდა საყურადღებოდ, რომელნიც ამომრჩეველთა საბოლოო შესწორებულ სიაში არიან ჩამოთვლილნი, რომ **კრება** მომავალ 1902—1904 წლებისათვის **ფოთის ქალაქის საბჭოს ახალ ხმოსანთა ასარჩევად მოხდება 8 სექტემბერს** ამა 1902 წელს, დილის 9 საათზე ფოთის ქალაქის გამგეობის დარბაზში. (3—2)

ბორჯომში

ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის $8^{1}/_{2}$—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუმანოვის სახლი.

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ტფილისის კერძო სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

გ. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ძ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარხუდოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ნ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. ვ. სობოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ.-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ვ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკონსულოსი, № 21. (გორონცოვის ძეგლის პირდაპირ. ტელეფონი № 274. (წლ.)

ავქსენტი ცაგარლის გარდაცვალება

ოთხშაბათს, 14 აგვისტოს, გარდაცვალებულის ავქსენტის სულის მოსახსენებლად გარდახდილს **პანაშვიდს** დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო: ამ საღამოს ბევრი იყო ხელოსანი და რკინის გზის მოსამსახურენი.

პანაშვიდის შემდეგ ამათ მიჰმართეს თხოვნით განსვენებულის ჭირისუფალთა და დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრთ—**დასაფლავება კვირისთვის გადაიდოსო**, რადგან ხალხს სხვა დღეს არ შეუძლია დაესწროს დაკრძალვას და ამით პატივი სცეს ახლად გარდაცვალებულის მოღვაწის ხსენებასაო. ეს თხოვნა შეწყნარებულ იქმნა და დასაფლავება გადიდო კვირას, 18 აგვისტოსთვის. ცხედარს დილის 8 საათზე წაასვენებენ სახლიდან ქვაშვეთის ეკკლესიაში; იქიდან წირვის შემდეგ კუკიის სასაფლაოზე.

ბ. პეტრე ყიფიანის წინადადება **კუკიის სასაფლაოზე** საერთო ადგილის შეძენის შესახებ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ სხვათა დახმარებით სისრულეში მოიყვანა: ადგილი არჩეულია 16—20 საფლავისათვის, ფულიც ადვილად გროვდება. პირველად ამ სასაფლაოზე გაითხრება ახლად გარდაცვალებულის მოღვაწის ასიკოს საფლავი.

პროვინციაში ავქსენტის გარდაცვალების მოულოდნელს ამბავს საერთო და ღრმა მწუხარება გამოუწვევია. სხვათა შორის ქუთაისიდან გვწერენ:

13 აგვისტოს ქუთაისში გავრცელდა ჩვენი თეატრის ამაღორძინებელისა და სულის ჩამდგმელის ნიჭიერ დრამატურგის ავქსენტი ცაგარლის გარდაცვალების ამბავი, რომელიც ელვასავით მოედო მთელ ქალაქს. ბევრს არ სჯეროდა ეს მოულოდნელი და ზარ-დამცემი ამბავი და ყველა წიგნის მაღაზიებისაკენ მიიჩქაროდა, რომ ახლად მოსულ გაზეთებიდან გაეგოთ ნამდვილი. წიგნების მაღაზიების პატრონებმა ვერც-კი მოასწრეს გაზეთების გახსნა, ისე დაიტაცეს. ყოველის მხრიდან და ყველასაგან სინანულისა და შებრალების ხმა გვესმოდა. ვინც-კი განსვენებულს იცნობდა და გაეგონა მისი სახელი, ყველას სახეზე მწუხარება გამოიხატებოდა.

გადაიხადეს ავქსენტის სულის მოსახსენებლად პანაშვიდები ქუთაისის ინტელიგენციამ ქუთაისის საკათედრო ტაძარში და ქუთაისის რკინის გზის სადგურის ქართველმა მოსამსახურეებმა რკინის გზის სადგურზე მრავალის ხალხისა და მიცვალებულის ნიჭის პატივის მცემელთა თანადასწრებით.

აბასტუმანშიაც დიდათ შეწუხებულა იქ საზაფხულოდ მყოფი ქართველობა; სხვათა შორის გვწერენ შემდეგ საყურადღებო ამბავს: „აქ განვიზრახეთ გვირგვინის მაგიერ ფული შევაგროვოთ და დრამატიულ საზოგადოებას გარდავცეთ, რომ **ა. ცაგარლის სახელობაზე მუდმივი პრემია** დაარსდეს საუკეთესო ორიგინალურ დრამატიულ ნაწარმოების დასაჯილდოვებლად“.

სამძიმრის დეპეშებიც ბევრი მოდის პროვინციიდან; რედაქციასაც და განსვენებულის ქვრივისაც ზოგიერთებს აქვე ვბეჭდავთ.

მანგლისიდან: ქართველ მეაგარაკეთა თხოვნით მანგლისის ტაძრის მღვდელმა დღეს გადაიხადა პანაშვიდი განსვენებულ ავქსენტი ცაგარლის სულის მოსახსენებლად.

ფოთი, 15 აგვისტო. დღეს საკრებულო ტაძარში აუარებელის ხალხის თანადასწრებით გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის ავქსენტი ცაგარლის სულის მოსახსენებლად.

აბასთუმანი, 15 აგვისტო. დღეს გარდაიხადეს პანაშვიდი ძვირფასის ავქსენტის სულის მოსახსენებლად მღვდლებმა მეუნარგიამ, შენგელაიამ, ჯიჯინეიშვილმა და წერეთელმა. პანაშვიდს დაესწრნენ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და აბასთუმანში მყოფი მოაგარაკე-ქართველნი.

ხონი, 15 აგვისტო. დღეს გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის დრამატურგისა. ცა-

გარდის სულის მოსახსენებლად, რომელმაც ეგოდენ დიდი ღვაწლი დასდო სამშობლო სცენას. პანაშიდს ხანის საზოგადოება დაესწრო.

ფოთიდან: „ფოთის საზოგადოება ღრმად შეწუხებულია ძვირფას თანამემამულეს და ნაჭიერ დრამატურგის თქვენის საყვარელის მეუღლის ავქსენტის უდროო გარდაცვალების გამო და გიცხადებსთ გულწრფელ სამძიმარს“.

ქიათურიდან: „მონაწილენი ვართ თქვენის მწუხარებისა პატივცემულ მოღვაწის დაკარგვის გამო. ქიათურის ბანკი“.

ცხინვალიდან: „ნაჭიერის დრამატურგის ძვირფას ასიკოს გარდაცვალების ამბავმა მეტად შემაწუხა. ანტონ ფურცელაძე“.

ქიათურიდან: „ძვირფას ასიკოს გარდაცვალების ამბავმა ღრმად შემაწუხა; ყველა ქართველებთან ერთად ვგლოვ ჩვენის სცენისა და ლიტერატურის პატივცემულ მოღვაწის დაკარგვას. კიტა აბაშიძე“.

საზღვარ-გარედ

შვეიცარია. გუშინ ნათქვამი გვქონდა, რომ შვეიცარიის ფედერაციის საბჭომ დაადგინა საფრანგეთიდან მოსულ ბერების და მონაზვნების განდევნა. აი რას ამბობს მე-52 მუხლი საფედერაციო კონსტიტუციისა: „აკრძალულია ახალი მონასტრების და სასულიერო ძმობათ დაარსება და ძველთა აღდგენა“. ამ კანონის ძალით შვეიცარიაში მხოლოდ იმ მონასტრებს და ბერთა ორდენებს შეუძლიათ დარჩენა, რომელნიც უკვე არსებობდნენ ახალი კონსტიტუციის შემოღებამდე (29 მაის 1874 წ.). საფრანგეთიდან კი მხოლოდ შარშან შემოდგომაზე გადმოსახლდნენ ბერები; შვეიცარიის მოკავშირეთა საბჭოს შიში აქვს, რომ კიდევ გადმოსახლდებიან, თუ რამე ღონე არ იღონა. მე-51 მუხლის ძალით, იეზუიტების ორდენს და მის განყოფილებებს აღეკრძალებათ შვეიცარიაში სადმე დასახლება, და წევრებს უფლება არა აქვთ იმოღვაწეონ არც საყდარში და არც სკოლაში. თუ ფედერაცია საჭიროდ დაინახავს, შეუძლია ამ კანონით ისარგებლოს სხვა სასულიერო ძმობათა წინააღმდეგაც, თუ მათი მოქმედება მავნებელი იქნება სახელმწიფოსთვის და თუ მშვიდობიანობას არღვევს სხვა და-სხვა სარწმუნების მომხრეთა შორის. ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში ფედერაციის საბჭომ იხელმძღვანელა მე-52 მუხლით, რადგან ეს უფრო მოკლე გზა იყო. ამბობენ, რომ პრინციპიალურად მოკავშირეთა საბჭოს რამდენიმე თვის წინად, როდესაც ყველა წევრები ისევ ბერნში იყვნენ, უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ეს კითხვაო. ფრეიბურგის კანტონის მთავრობა, რომელიც კათოლიკეთაგან შესდგება, იმ თავითვე ცუდი თვალით უყურებდა საფრანგეთიდან ბერების შემოსევასო.

დღევანდელმა შვეიცარიამ არ იცის, რა არის სარწმუნოებრივი ბრძოლა და სწორედ გონივრულად მოქცეულა ფედერაციის საბჭო, რომ შორს განუდევნია არა მკითხე სტუმრები, რომელთაც, უეჭველია, თავისი ინტრიგები მოჰქონდათ ძღვნად.

სამხრეთ აფრიკა. ჩვენ მოყვანილი გვქონდა ევროპის გაზეთების აზრი, ვითომ ბურების გენერლებს აზრათა აქვთ კრიუგერს გამოართვან ერთი ნაწილი იმ ფულისა, რომელიც მან წამოსვლის დროს თან წამოიღო ტრანსვაალიდანო. ხმა დადიოდა, ვითომ კრიუგერმა რამდენიმე მილიონი ფრანკი წამოიღო სახელმწიფო ხაზინიდან და ტრანსვაალის რკინის გზის აქციები, რომელიც მან ბერლინსა და ამსტერდამში გაჰყიდაო. ახლა „ფრანკფურ. ცეიტუნგ“-ს „ავტორიტეტული წყაროდან“ შეუტყვია, რომ წამოსვლის დროს კრიუგერს თავის ფული ჰქონდა ნაციონალურ ბანკში 40 ათასი გირ. სტერლინგი, რომელიც მან ბურთა რაზმებს დაურიგაო. რაც დარჩა, თავის შვილებს უანდერძა. თავისთვის ორი ფერმა-ღა დაიტოვა და მხოლოდ იმდენი ფული, რაც საჭირო იყო მგზავრობისთვის და იმ უბრალო ცხოვრებისთვის, როგორც ცხოვრებს ექს-პრეზიდენტი. უგნობაა ვიფიქროთ, რომ ტრანსვაალის მთავრობა ერთ პირს მიანდობდა სახელმწიფო ხაზინას, თუნდ კრიუგერს, როდესაც მთელი ადმინისტრატიული აპარატი არსებობდა, რომელსაც ებარა ხაზინის გამგეობაო.

საფრანგეთი. ბეზანსონში ამას წინად ძეგლი დაუდგეს ვიქტორ ჰიუგოს. დღესასწაულს დაესწრო ვაჭრობის მინისტრი ტრუიო და შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა; იგი შეეხო, სხვათა შორის, კონგრეგაციებს და ის აზრი გამოსთქვა, რომ ახალ კანონს იმ ტრადიციის განმტკიცება უნდოდა, რომლის ძალით კონგრეგაციების არსებობისათვის აუცილებლად საჭიროა სახელმწიფოს ნებართვაო. „თუ ძველი რეჟიმის დროს 80-ათას ბერს და მონაზონს მონარხია საშიშრად სთვლიდა პოლიტიკურ და სოციალური მხრივ, რამდენად უფრო საშიში უნდა იყვნენ ეხლა, როცა კანონის დავიწყების და სახელმწიფოს სისუსტის გამო ეს 80 ათასი რესპუბლიკანურ საფრანგეთში 200 ათასად იქცა?“ შემდეგ ტრუიომ შენიშნა, რომ ვიდრე კანონს მიიღებდნენ პარლამენტში, რეაქციონერები თავ-განწირულებით ებრძოდნენ მას და ამტკიცებდნენ მის სისასტიკეს. შემდეგ კი, როდესაც პარლამენტმა კანონი მიიღო, რეაქციონერებმა უეცრივ შეიცვალეს აზრი და მოჰყვნენ იმის დამტკიცებას, რომ ახალი კანონი სცვლის კონგრეგაციების მდგომარეობას, რადგან ამისთანა რბილი კანონი ჯერ არ ყოფილაო. ასე ჰხსნიან ახალ კანონს კლერიკალები და ჰსურთ, რომ სამსჯავროებმაც ასეთი თვალით შეხედონო. „მაგრამ, ამბობს ტრუიო, თუ კანონმა მართლა იმედი გაგვიცრუვა, თუ მას ასეთი მოულოდნელი ახსნა (ინტერპრეტაცია) მისცეს და აღმოჩნდა, რომ ჩვენი სახელმწიფო უფლების საერო ტრადიციების განმამტკიცებელ იარაღის შეჰქმნის მაგიერ, ჩვენ მხოლოდ წავართვით ყოველივე სანქცია ამ უფლებებს, მაშინ ჩვენ მოვითხოვთ პარლამენტს, რომ შეავსოს, ანუ უკეთ, აღადგინოს, რაც უკვე გაკეთებულა. მე დარწმუნებული ვარ, არც პალატა და არც სენატი ჩვენ უარს არ გვეტყვის. ამის თავდებია რესპუბლიკანური მიმართულება ორივე პალატებისა და, მე მგონია, ჩვენ გამომხატველნი ვართ საზოგადო აზრისა, როდესაც ვამბობთ, რომ საფრანგეთის მმართველნი ვერას დროს ვერ გახდებიან ვერც იეზუიტები და ვერც როიალისტები“. ტრუიომ აღნიშნა, რომ თუ საფრანგეთის რესპუბლიკაში რეაქციონური მიმართულება ასე ძლიერია, ეს სხვათა შორის 1850 წლის, ფალუს კანონის ბრალიაო; ამ კანონმა საფრანგეთის ბურჟუაზიის შვილების აღზრდა ხელში ჩაუგდო კონგრეგაციებს. „ამ ბურჟუაზიამ წარსულში თავი ისახელა მრავალი კეთილ-შობილური დაწესებულების მეთაურობით; იგი იყო მეთაური მე-XVIII საუკუნის ფილოსოფიურ მოძრაობისა; ამან გამოიწვია უმეტეს ყოვლისა, ეგალიტარული (თანასწორობის) მოძრაობა, რომელიც გახდა წყაროდ რევოლიუციისა; ეს ბურჟუაზია ჯერ ლუი-ფილიპის დროსაც კი კიდევ „ვოლტერის მიმდევარი“ იყო. ნუ თუ გასაოცარი არ არის, რომ რაც უფრო ფეხს იკიდებს იეზუიტების აღზრდა, ბურჟუაზია უფრო და უფრო რეაქციონური და კლერიკალური ჰხდება? მაგრამ გაფრთხილდეს იგი! თუ სულ ამ გზით იარა, ქვეყანა მალე შეელევა მას, ისე როგორც ძველ არისტოკრატიას დაემართა, მიუხედავათ მისი ძალისა, ტრადიციისა და სახელისა. მასაც ის დღე მოელის, რაც მოუვიდა არისტოკრატიას, რომელსაც ჩამოართვეს სახელმწიფო საქმეების მართვა.“ შემდეგ ამისა მინისტრმა დაამთავრა: „ამ გვარად მთავრობამ უნდა დაასრულოს საშუალო განათლების შესახებ ის, რაც უკვე გააკეთა პირველ დაწყებითი განათლებისათვის. ეს არის მთავრობის მოვალეობა და აუცილებლად აასრულებს მას.“

თუ ამ სამინისტროს დასცალდა, საფრანგეთში განათლება მალე მართლა საერო გახდება და სასულიერო წოდებას წაერთმევა საშინელი უფლება მოზარდი და ახალ თაობის გონების დახშვისა და მოწამვლისა.

ახალი ამბავი

✦ პეტერბურგიდან დეპეშით გვატყობინებენ, რომ ახალ რკინის გზების კომისიამ **თეზურგეთის რკინის გზის** აშენების კონცესია მისცა თავ. ნიკო თავდგირიძეს.

✦ ორშაბათს, 19 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, სამეურნეო ბანკის სადგომში დანიშნულია სხდომა პირველ რაიონის **ხმოსნების ამომრჩეველთა კომიტეტისა.** სხდომაზე საბოლოოდ უნდა შეიმუშავონ კანდიდატთა სია.

✦ **ლაშედან (იმერეთი) გვატყობინებენ:** 10 აგვისტოს, შუაღამის 12 საათზე, ავაზაკები დაეცნენ მღვდელ ვასილ გორგაძის სახლს. ბოროტ-გამზრახველთ წაიღეს 60 მანეთის ნივთები და ამას გარდა ხელში სამ ადგილას დასჭრეს თვით მღვდელი გორგაძე.

✦ ამ ჟამად ტფილისშია სახალხო სამინისტროსაგან გამოგზავნილი სამრეწველო სკოლების **ინსპექტორი** ვ. ვ. კორვატოვსკი. ბ-ნმა კორვატოვსკიმ უნდა გამოიკვლიოს, რომელ ადგილებშია შესაძლებელი ჩვენს ქვეყანაში და უფრო რომელი სახის სამრეწველო სკოლა საჭიროა დაარსდეს.

ბ-ნმა კორვატოვსკიმ ინახულა ქალაქის წარმომადგენელნი და ჩამოაგდო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ქალაქმა ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსებას თავი დაანებოს და სამაგიეროდ სამრეწველო საშუალო სასწავლებელი დააარსოს.

ამის შესახებ ლაპარაკი კიდევ ექმნება ქალაქის სამმართველოს, მხოლოდ ჩვენ ვიცით, რომ ქალაქმა უკვე შეიმუშავა პროექტი ისეთ საშუალო სასწავლებლისა, სადაც ტეხნიკურ-მექანიკური სწავლა უნდა იყოს, სამთო-ნაწილის განყოფილებით. ამისთანა სასწავლებლის პროექტი იმ შემთხვევისათვის შეამუშავა ქალაქმა, თუ ავლაბარში პროგიმნაზიის ნებას არ მოგვცემენ, ამ სახის სკოლა ვითხოვოთო. ასეთი პროექტი ქალაქმა ჯერ კიდევ შარშან შეადგინა და მზად აქვს სისრულეში მოიყვანოს, თუ მთავრობა ნებას დართავს. პროექტი სრულიად ემსგავსება ტაგანროგში არსებულს სატეხნიკო-სამექანიკო საშუალო სასწავლებელს.

✦ ხელოსანთა დეპუტატებს სამსახურის ვადა წარსულ წლის დამლევს გაუთავდათ, მაგრამ ახალი არჩევანი დეპუტატებისა აქამომდე არ მოუხდენიათ.

ხელოსანთა მოურავმა ბ-ნმა რაფაელოვმა მიმართა ქალაქის ხელოსნებს, **დაანახვეთ, ვინ გინდათ ახალ დეპუტატებად აირჩიოთ,** რადგან ამ მოკლე ხანში გუბერნატორისაგან უნდა ნება გამოვითხოვო და მომავალ სექტემბერში დეპუტატთა არჩევანი მოვახდინოო.

✦ ტფილისის **დურგალთა ამქრის** ზოგიერთმა მონაწილემ 14 აგვისტოს საჩივარი მიართვა გუბერნატორს და სთხოვენ: ჩვენ ამქარში ფულის შემოსავალ-გასავლის ანგარიში მეტად უწესოდ სწარმოებს და გთხოვთ, როგორც ეს, ისე საზოგადოდ ამქარში საქმეების მდგომარეობა გააწეს-რიგოთო.

✦ ტფილისის ხელოსანთა მოურავმა ბ-ნმა რაფაელოვმა ყველა ამქრის **დავთრები შეამოწმა.** დურგალთა ამქრის უსტაბაშს ინოზემცევს უბრძანა, ამას იქით არავითარი ფული აღარ აკრიბო ამქარში, სანამ ამის განკარგულება არ მოგივიდესო. ბ-ნ რაფაელოვს აღმოუჩენია, რომ ამ ამქარში თურმე დიდად უწესოდ და ზედ-მეტად ჰკრეფავდნენ ფულს.

ხელოსნებისათვის გამოუცხადებია მოურავს: თითო ამქარმა ორ-ორი მანეთი წარმოადგინეთ და ორ კაცს დავიჭერ, რომ ამქრების საქმეები აწარმოონ და მიწერ-მოწერის ქაღალდები შეასრულონო. ეს ორი კაცი სახელოსნო გამგეობაში იქნება განსაკუთრებით თქვენი საჭიროებისათვისო.

✦ დღეს, 17 აგვისტოს, სურამიდან ტფილისს დაბრუნდებიან **იუნკერთა სასწავლებლის მოსწავლენი.**

✦ ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ, თანახმად 1892 წლის საქალაქო დებულების მოთხოვნილებისა, ტფილისის გუბერნატორმა უკანონოდ იცნო ქალაქის სკოლათა **გამგე კომიტეტის არსებობა** და ეს ამბავი კიდეც აცნობა ქალაქის გამგეობას.

ამ ჟამად ქალაქის გამგეობა იმის სჯაშია, როგორ შეასრულონ გუბერნატორის მოწერილობა, მაგრამ ჯერ ვერ გადაუწყვეტია, რა გზას დაადგეს.

✦ გუშინ წინ ნავთლუღში, სადგურის მახლობლად, პოლიციას უნახავს **ვიღაც კაცის გაწრწნილი გვამი.** ჯერ ვერ გამოურკვევიათ ვინაობა და აგრეთვე ის, ძალად მოკლულია, თუ თვითონ მოიკლა თავი ამ კაცმა.

✦ **ქალთა მეორე გიმნაზიის ახალი შენობა ტფილისში** თითქმის სრულებით მზად არის, მხოლოდ ცოტაოდენი შიდა სამუშაო არ არის დამთავრებული—რამდენსამე ოთახში არ არის ჯერ პარკეთის იატაკი დაგებული, რადგან საზღვარ გარეთიდან არ მოსულიათ პარკეთი და ამ დღეებში მოელიან.

მიუხედავად ამისა მისაღები ეგზამენები ამ გიმნაზიაში მაინც ახალ სადგომში იქნება, სწავლასაც სექტემბრის დამდეგს უთუოდ ახალ შენობაში დაიწყებენ.

✦ საგუბერნიო მართველობის საექიმო გამგეობამ ცირკულიარულად მისწერა ქალაქის ყველა ექიმებს, განსაკუთრებით ყურადღება მიაქციეთ, რომ **ბაზრებში გასასყიდად გამოტანილი ხორაგეულობა და სასმელები კარგის თვისებისა იყოსო.**

✦ ხვალ, 18 აგვისტოსათვის, დანიშნულია **საზოგადო კრება** დურგალთა ამხანაგობის „შრომისა“ გამგეობის ახალ წევრთა ამოსარჩევად.

✦ ქალაქის ქუჩების მეფარნეთ საერთო **სათხოვარი მიუციათ** ქალაქის გამგეობისთვის ჯამაგირები მოგვიმატეთო. დღეს მეფარნეს 15 მანეთი ეძლევა თვიურად და, რა თქმა უნდა, ეხლანდელ სიძვირეში მარტო ხელსაც გაუძნელდება ამ ფულით თავის შენახვა; ცოლიანი ხომ სულ უფრო შევიწროებული იქმნება. ქუჩების განათების გამგეც მხარს უჭერს მეფარნეების ასეთს სათხოვარს.

✦ ქალაქის გამგეობასა და კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს მიწერ-მოწერა ჰქონდათ დასაფასებელ გადასახადის გამო. ოლქი არ იხდიდა ამ გადასახადს თავის სახლებში. ეხლა ტფილისის გუბერნატორმა გადასცა გამგეობას ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის წერილობით ცნობა, საიდანაც სჩანს, რომ აღნიშნული საქმე განუხილავთ სახელმწიფო კანტროლსა და ფინანსთა სამინისტროს და ის აზრი გამოუთქვამთ, რომ **დასაფასებელ გარდასახადისაგან** უნდა განთავისუფლებულ იქმნას საფოსტო უწყების სახლები, ვიდრე ვადა არ გაუვა მეპატრონეებთან დადებულ ხელშეკრულებას სადგურებისათვის სახლების აშენების შესახებ.

✦ **ბაქოს ქალაქის გამგეობამ** სთხოვა ტფილისისას გაუგზავნოს ცნობები გამგეობის მიერ დაარსებულ ხორცის დუქნების შესახებ.

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების გამგეობამ სთხოვა ქალაქის გამგეობას ის საბუთების ქაღალდები, სადაც აღნიშნულია, რომ ოფიცერთა საზოგადოების მიერ გამოწერილ **ლორში ტრიხინა აღმოჩნდაო.** ამის გამო საექიმო ლაბორატორიის გამგემ შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ არ არის ცნობები იმის შესახებ, თუ როდის და ან ვინ აღმოაჩინა ტრიხინაო. ტრიხინა ღმოუჩენიათ მხოლოდ 1899 წელს. რადგანაც აფიცერთა საზოგადოება გარკვევით არ ასახელებს, რომელი ქაღალდები უნდა, ლაბორატორიის გამგე სთხოვს ქალაქის გამგეობას, შემატყობინეთ, რომელი ქაღალდები გამოვუგზავნოთ საზოგადოებისთვის გადასაცემადაო.

✦ ალშვანგის და სტ. ჩარახჩიანის მაღაზიების გამქურდავთ ორ გზით გამოუტანიათ ნაქურდალი. ეს ხომ ვიცით, რომ ქურდობის მოთავე ალშვანგის ნოქარი ვინმე ბუაძე ყოფილა. პირველად გამოზიდული ნაქურდალი თანასწორ ნაწილად გაუყვიათ მონაწილეთ; ბუაძეს თავისი წილი იქვე სარდაფში დაუტოვებია, ყველა მონაწილეთ თავი შეუყრიათ და უქეიფნიათ. ბუაძე დაუთვრიათ და იმისი ნაწილი დანარჩენებს გაუყვიათ.

ბუაძეს მეორედ გამოუზიდნია ალშვანგის მაღაზიიდან საქონელი ამ თვის 11-ს, სულ 450 მანეთის ღირებულობისა, მაგრამ გარედ გამოტანა ვერ შესძლებია და ნაქურდალი იქვე „დვორცოვი ნომრების“ შვეიცარისათვის მიუბარებია შესანახად. შვეიცარი ცოტა ხნით სადღაც წასულა და ამ დროს საქონელი ვიღაცას ერთიანად გაუზიდნია.

ბუაძე ხაშურში დაიჭირეს, ჩამოიყვანეს და ყველაფერში გამოტყდა. ამის სიტყვის შემდეგ „დვორცოვი ნომრები“ დაათვალიერეს და ნომრების პატრონის ოთახების გვერდით ერთ ოთახში ჰპოვეს ყველა ნაქურდალი.

ალშვანგისა და სტ. ჩარახჩიანის მაღაზიებიდან გაზიდული საქონელი სულ ას-თერთმეტ-და ხუთი თუმნისა აღმოჩნდა. დაჭერილია 10 კაცი; ზოგი მათგანი საგუბერნიო ციხეში დაამწყვდიეს, ზოგიც—მეტეხში.

✦ 14 აგვისტომდე ტფილისის ქალაქის გამგეობის დარბაზში წარადგინეს ქალაქის მესამე სათამასუქო სესხის 105,000 მანეთის ძველი ობლიგაციები ახლებზე გამოსაცვლელად. გამგეობამ უკვე მიიღო სახაზინო პალატიდან ახალი ობლიგაციები.

✦ ოსმალეთიდან გამოსული ზოგი სომეხი უკან ბრუნდება თავისს სამშობლოში, რადგან რუსეთის ქვეშევრდომობა არ ისურვეს. აქამომდე ათასამდე კაცი გასულა კავკასიიდან ოსმა-

დეთში. იმათგან, რომელთაც ქალაქი უნდა დატოვებინა,—ზოგი აქ, ქალაქში, მეეზოვეთ, დარაჯად, თუ სხვა ადგილზე ყოფილა; ბევრი თურმე შემძლე კაცებთანაც მსახურობდა. „ადებმა" იცოდნენ, რომ ამ ხალხს კავკასიიდან გასვლის დრო უახლოვდებოდათ, მაგრამ მაინც არ გასწორებულან ეს ვაჟბატონები თავიანთ მოსამსახურეებთან და ეს უკანასკნელნი დღემდე შესტირიან თავიანთ ნამსახურს.

მაგარი გულიც ასეთი უნდა, როგორც ჩვენებურ „ადებს" აქვს...

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ ამიერ კავკასიის რკინის გზების უფროსის ბ-ნ ივანოვსკისაგან უარი მიიღო ამას წინად აღძრულს შუამდგომლობაზე, რომ ქუთაისზე გაეარა რკინის გზას. ამგვარად ქუთათურების ნაადრევს აღფრთოვანებას ფრთები შეეკვეცა, მაგრამ, იმედია, ამით სრულ სასოწარკვეთილებას არ მიეცემიან ქუთათურები და უფრო დასაბუთებულის შუამდგომლობით წარსდგებიან სამინისტროს წინაშე. ამასაც ვიტყვი, თუ ქუთაისს ეხლაც ასცდა რკინის გზა, მერმე ის თავისს დღეში ვერ მოესწრება მას; ურკინისგზოთ კი ქუთაისის წინ წაწევა ყოვლად შეუძლებელია.

✦ ამ ბოლოს დროს ქუთაისში ძალიან გავრცელდა ყალბი თეთრი ფული. უფრო საღამოობით და ღამ-ღამე ასაღებენ ქუჩამოედნებზე, სადაც ხელით მოვაჭრე სოფლის ხალხი ტრიალებს. ყალბი ფულის გამსაღებელი მიდის სოფლელთან, ვსთქვათ შაურის ხილი უნდა იყიდოს; ამისათვის გლეხს აძლევს ყალბ თეთრ აბაზიანს, მანეთიანს, ხანდახანა ხუთ მანეთიან ოქროსაც შეაპარებს, თუ მანეთისას ან მეტისას ჰყიდულობს. ამნაირად ბევრი მოატყუილეს.

ზოგიერთებმა თვალ-ყურის დევნა დაუწყეს ყალბი ფულის გამსაღებლებს და აკი დაიჭირეს: 11 აგვისტოს ერთმა ვაჟბატონმა ყალბი მანეთი დაახურდავებინა ორ შაურიან ჩესვში, მერე მეორე გლეხთან მივიდა და ამისაგანაც ნესვი იყიდა და იმასაც ყალბი მანეთიანი მისცა. ვაჟბატონი შეჰბოჭეს და პოლიციელი დაიბარეს. აქვე აღმოჩნდნენ გლეხები, რომელთაც ათამდე ყალბი მანეთიანები მიეღოთ თურმე ამ „ვაჭარისაგან". ყალბი ფულების გამსაღებელი აღმოჩნდა ლვინით მოვაჭრე ფ. ქ—ლის ნოქარი. პოლიცია ამ საქმის გამოძიებას გულ-მოდგინედ შეუდგა.

✦ 9 აგვისტოს საოლქო სასამართლომ გაარჩია სოფელ ჰოლას (ლეჩხუმშია) მცხოვრების გლეხის ფილიპე შარვაშიძის საქმე, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ 1899 წ. 21 ივნისს ტყიდან მალულად თოფი გამოისროლა და მოჰკლა თვისისავე სოფლის მცხოვრები გლეხი გიორგი ჯაჯიანი. ფილიპე შარვაშიძეს ამას გარდა სხვა ბრალიც ბევრი ედებოდა—ხარებისა, თუ ცხენების მოპარვა.

სასამართლომ შარვაშიძეს მიუსაჯა ყოველისავე ღირსების ახდა და თორმეტი წლის კატორგა.

✦ ქუთაისის გუბერნატორი ბ-ნი სმაგინი თავის მოგზაურობიდან 13 აგვისტოს დაბრუნდა.

✦ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის თავმჯდომარე ბ-ნი მელნიკოვი პეტერბურგიდან დაბრუნდა 12 აგვისტოს და შეუდგა თავისს თანამდებობის ასრულებას; იგი „სევერნი ნომრებ"-ში დაბინავდა.

✦ ოდესის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი ვ. მ. პეტრიაშვილი 16—17 აგვისტოს მიემგზავრება ოდესას.

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლომ 13 აგვისტოს სხვათა შორის შემდეგი საქმე გაარჩია: სოფელ წყალტუბოს მცხოვრები ნ. კინწირეიშვილი, 1901 წლის 19 დეკემბერს დაბა ხონიდან სოფ. მათხონჯს მისულა ღამით თავის სიძესთან, ყაზარა მელაძესთან, სიძე გარედ გამოუხმია და სასიკვდილოდ დაუჭრია რევოლვერით. მელაძე მეორე დღეს გარდაცვლილა.

ამ საქმის თაობაზე 15 მოწამე იყო გამოწვეული საქმის გარემოების ასახსნელად და ამათგან მხოლოდ ერთმა მოწამემ, გლეხმა ნესტორა ლორთქიფანიძემ გადაჭრით დაამოწმა, რომ ყაზარა მელაძე კინწირეიშვილმა მოჰკლაო.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბრალდებული და, ყოველისავე ღირსების ჩამორთმევით, 12 წლის კატორგა მიუსაჯა.

რუსეთის ქრონიკა

✦ გზათა სამინისტროს შეუტყვია, რომ ზოგიერთი ის ინჟენერები, რომელნიც რკინის გზის გასაყვანად ადგილ-მდებარეობას იკვლევენ, ხშირად სხვის ადგილებში იწყებენ მუშაობას ისე, რომ ადგილის პატრონს არც-კი ატყობინებენ, ამასთან სჩეხავენ ბაღს, ტყეებს, აფუჭებენ ყანებს და სხვა ზარალს აყენებენ მცხოვრებთ. ამის გამო გზათა მინისტრმა განკარგულება მოახდინა, კვლევაძიების დროს ინჟენერებმა უეჭველად შეატყობინონ ხოლმე ადგილის პატრონთ, რომ იმის ადგილებში მუშაობას აპირობენ. ამას გარდა პატრონთან მოულაპარაკებლად მკვლევარს ნება არა აქვს ასჩეხოს რამე.

✦ კიევის უნივერსიტეტში თხოვნა 1230 კაცს შეუტანია, აქედან 500 კაცს წელს გაუთავებია გიმნაზია (384 ქრისტიანია, ხოლო 116 ებრაელი); 563 მთხოვნელი უნივერსიტეტიდან დათხოვნილი სტუდენტია. საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში ვაკანსია 400 ყოფილა, თხოვნა-კი 1,274 კაცმა შეიტანა, აქედან 321 დათხოვნილი სტუდენტია.

✦ სენატმა განმარტა, რომ ერთსა და იმავე კაცს არ შეუძლიან შეასრულოს ორი თანამდებობა: მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა და ნაფიცის ვექილისაო.

✦ როგორც „იუჟნი კრაი" გადმოგვცემს, სოფელ სერგეევკაში „დედაკაცთა ბუნტი" მომხდარა. ამ სოფელს დიდი დავა ჰქონია ბორნის გამო ერთ გენერალ-ლეიტენანტის ქვრივთან, რომელიც გაუქმებას უპირებდა გლეხთა მიერ გამართულ ბორანს. სასამართლოში საქმე ქვრივმა მოიგო. როდესაც ბორანთან მივიდა სასამართლოს ბოქაული, იქ არც ერთი კაცი არ დაჰხვდა, სამაგიეროდ თავი მოეყარა დედაკაცთა დიდ ბრბოს. ყველანი შეიარაღებულნი იყვნენ: ზოგს ორ თითი ეჭირა, ზოგს კეტი, ზოგს ნიჩაბი, ზოგს კიდევ, ვინ იცის, რა. ეს ბრბო ბორნით მეორე ნაპირას გასულა და ბორანი აღარ გამოუშვია. ერთ ნაპირზე პოლიცია იდგა, მეორეზედ ხალხი და ბორანი. რამდენიმე ჩაფარი წყალში გავიდა, მაგრამ ბორანი ვერ წაართვა დედაკაცებს. ერთ ჩაფარს თოფიც-კი გაუტეხეს. მხოლოდ, ბევრის ვაი-ვაგლახის შემდეგ, წაართვეს ბორანი დედაკაცებს და გააუქმეს.

პრესსა

ამას წინად გაზეთებში კამათი იყო იმის შესახებ, თუ რა დანიშნულება უნდა მისცეს სახელმწიფო ბანკმა შესანახად მიბარებულ ფულს. უმეტესობა იმ აზრისა იყო, რომ უფრო შესაფერისი და სასარგებლო იქნება ამ ფულით მცირე კრედიტის საქმე გაძლიერდესო. მაგრამ ზოგი შიშობდა, ვაი თუ მცირე კრედიტის საქმე ცუდათ წავიდეს და ფული ტყუილად დაიკარგოსო; მაშინ როგორ და გასცეს პასუხი სახელმწიფო ბანკმა მობარებული ფულის პატრონებსაო?! ახლა ამ საკითხს გაზეთი „რუსსკ. ვედომ."-ი ეხება და აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ბანკი სრულიად შეუფერებლადა და უსარგებლოდ ამუშავებს მობარებულ ფულსაო: ამ ფულით ნაყიდია ბევრის კერძო საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლები, ზოგიერთ რკინის გზების ობლიგაციები და სხვა.

ბანკი გაუტაცნიაო, ამბობს გაზეთი, საშიშ და ხშირად განუხორციელებელ სურვილს დაეხმაროს წაბორძიკებულ სამრეწველო საქმეებს. სახელმწიფო ბანკი ჰყიდულობს ბანკებისა და სხვა და სხვა სამრეწველო საქმეების ობლიგაციებსა და ფასიან ქაღალდებს, რათა ამ ხით დაეხმაროს მათ, მაგრამ სახელმწიფო ბანკისათვის მოუხერხებელი უნდა იყოს მობარებულ ფულის ასეთი მოხმარება; მეტად საშიშ მდგომარეობაში აყენებს შემნახველ-გამსესხებელ კასსებს, როდესაც მათგან მიღებულ ფულით საეჭვო ბანკებისა და საქმეების ქაღალდებს ჰყიდულობს. თავის გატაცებაში ბანკი იქამდის მივიდა, რომ პრიმირსკო-სესტრორეცკის რკინის გზის ობლიგაციებიც იყიდა, თუმცა ყველამ იცოდა ამ გზის საქმის მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნა.

„რუსსკ. ვედომ." და სხვა გაზეთებიც სამართლიანად შენიშნავენ: თუ სახელმწიფო ბანკი არ ერიდება და ასე თამამად ამუშავებს მიბარებულ ფულს კერძო სამრეწველო საქმეების გამოსაბრუნებლად, ნუ-თუ უმჯობესი არ იქნება მცირე კრედიტის საქმეს დაეხმაროს; მით უმეტეს, რომ ეს ოპერაცია არც ისე საშიშარიაო?!.

***

„ცერკოვნ. ვედომ."-ი ადარებენ რუსების ძველსა და ახლანდელს ათონს. უწინ, მამა იერონიმე და მაკარის დროს, ათონი რუსეთის გავლენას ავრცელებდა აღმოსავლეთშიო; ახლა-კი ათონის ბერები სრულიად უსარგებლო და უფრო მავნებელი ელემენტი არისო. უმეტესი ნაწილი ამ ბერებისა გლეხებია, რომელთ ძალიან გაუტკბათ „ბერის ყოფა-ცხოვრება" და თავიანთ ნათესავებს იწვევენ რუსეთიდან—მოდით, ეკურთხეთ ბერად, „კარგი ცხოვრება" გვაქვსო. ადვილად წარმოსადგენია, რა ელემენტებისაგან სდგება ათონის ბერობა!

ათონის რუს ბერებს შორისო, გვაუწყებს სასულიერო გაზეთი,—ძალიან ვრცელდება ჩვენი საერო უბედურება—მაგარ სასმელების ჭარბად ხმარება. საჭიროა, რასაკვირველია, ამ უბედურების დროზე ასაცილებლად საჭირო საშუალებათა მიღება. მერე, იხმარეს-კი რამე საშუალება? დიდის ამბით ანათემით აჯილდოებენ იმათ, ვინც არაყსა სვამს და უკრძალავენ წმ. საიდუმლოს მიღებას. რა მოსდევს ამ საგანგებო საშუალებას? ლოთობის აღკვეთა? სულაც არა. ან კი რა მოსალოდნელია ასეთი შედეგი. თავს ვერ იკავებენ ვერც სმას უკვე მიჩვეული მოხუცნი და ვერც ახალგაზდანი, რომელნიც მოწყურებულნი არიან დღესასწაულებში მაინც გადაჰკრან თითო ჭიქა არაყი. მსმელნი ეხლაც ისევე სვამენ, როგორც უწინ, თუმცა ამ საქმეს ეხლა საიდუმლოდ სჩადიან.

მშრომელ ბერთა რიცხვი ამის გამო წლითი-წლობით კლებულობს თურმე მონასტერში. ხატებსაც-კი ბერები ეხლა ან და ქირავებულ ბერძნებს ამზადებინებენ, ან კიდევ ბერძენთა მონასტრებში იძენენ. ბერების ტანისამოსს მონასტერი სხვაგან იძენს, მძიმე სამუშაოს დაქირავებულ კაცებს აკეთებინებენ. მაშ რაღას აკეთებენ ბერები? კითხულობს ბოლოს გაზეთი.

სხვა ქვეყნებში, იმავე გაზეთის სიტყვით, ბერები ბევრ რასმეს აკეთებენ: აარსებენ სკოლებს, მართავენ საავადმყოფოებს, უვლიან ღარიბ-ღატაკებს და სხვ. „სად შეუძლიანთ ათონის უმეცარ ბერებს ასეთ კულტურულ საქმის შესრულებაო.!"

წერილი რედაქციის მიმართ

„ცნობის ფურცლის" რედაქციას უმორჩილესად ვსთხოვ ეს 25 მანეთი გარდასცეს იმ კომიტეტს, რომელიც ჰკისრულობს სასაფლაო ადგილის ყიდვას გარდაცვალებულ ქართველ მოღვაწეთათვის *).

ქართ. დრამატ. საზოგადოების წევრი
გ. თუმანიშვილი

16 აგვისტ. 1902 წ.
ტფილისი

*) რედაქციამ გუშინვე გადასცა თავ. გ. მ. თუმანიშვილის შეწირულება ქართულს დრამ. საზოგადოების გამგეობას, რომელმაც ხსენებულ საქმის მოწყობა იკისრა.
რედ.

დაბა-სოფელნი

ქვიტირი (იმერეთი). ჩვენი სადარდელი და სატირალი ქუთაისში შესავალი ორპირის ქუჩაა, რომელზედაც ჩვენებურნი დაიარებიან. ეს ქუჩა მეტად გაფუჭებულია. ჯერ კარგ დარში გავლაც გასაჭირია, ხოლო თუ გაავდარდა, ღმერთმა მტერსაც აშოროს ამ ქუჩაზე გავლა. ჩვენ სოფლის გარდა ხუთ-ექვსს სხვა სოფლის შესასვლელი ქუჩაც ეს არის. კაცს ამ გზით შეაქვს ქუთაისში ჭირნახული გასასყიდად. წარსულ წელს მამასახლისმა გამოუცხადა სოფელსა და ორპირის ქუჩის მცხოვრებთ ამ ქუჩის შეკეთების შესახებ. შეუდგნენ კიდეც საქმეს. მაგრამ, საუბედუროდ, შეკეთების ნაცვლად უზარ-მაზარი ქვები დაუყრიათ და გზა უფრო შეუკრავთ. მეეტლებს, თუ ორმეტ ფასს არ მასცემთ, ექიმიც კი არ მიჰყავთ ამ ქუჩაზე ავადმყოფთან. ამ ქუჩის მცხოვრებნი, უგზობისა გამო ექიმსაც მოკლებულნი არიან და ვერ მიდიან ვერც ბაზარში სანოვაგის სასყიდლად და ვერც ეკკლესიაში სალოცავად. ყმაწვილებსაც უჭირთ სასწავლებელში სიარული. ამ გზაზე მოსიარულენი ხიფათსაც ხშირად შეემთხვევიან. ერთხელ ლიდიჟანი გადაბრუნდა და შიგ მსხდომნი ტალახში გადაცვივდნენ; ზოგს თავი გაუტეხა, ზოგს ცხვირი, ზოგს კიდევ ვინ იცის რა! ასე თუ არ გავა, რომ გლეხ-კაცს ურემი არ გადაუბრუნდეს.

ურიგო არ იქნება, ვისზედაც დამოკიდებულია, ყურადღება მიაქციოს ამ ქუჩას და როგორმე შეაკეთებინოს.

წელს ჩვენსკენ მოსავალს კარგი პირი უჩანს.
ი. კ.

—

საჩულია (იმერეთი). საჩულია მდებარეობს ქუთაისიდან ოცის ვერსის მანძილზე. ეს სოფელი როგორც მდებარეობით, ისე ნიადაგით არ ჩამოუვარდება მეზობელ სოფლებს; უხვად მოდის სიმინდი, პური, ღომი და ფეტვი. ამ ბოლოს დროს მებოსტნეობასაც მიჰყვეს ხელი. კარგის ნიადაგის წყალობით მებოსტნეობა დიდ მოსავალსა და სარგებლობას იძლევა. მეაბრეშუმეობა აქაურ მკვიდრთათვის თითქმის პირველ სახსრად უნდა ჩაითვალოს; კარგად იციან ჭიის მოვლა; თუთის ხის სიმრავლეც საქმეს ხელს უწყობს.

ჩვენი სოფელი აქამდე დაქვეითებული იყო სწავლა—განათლების მხრივ. 1895 წლამდე საჩულიის საზოგადოებაში, რომელიც შესდგება სამის სოფლისაგან, არც სამრევლო და არც სამინისტრო სკოლა არ მოიპოვებოდა; მხოლოდ 1895 წელს დაარსდა სამსავე სოფელში თითო სკოლა (სამინისტრო). შემდეგ, როდესაც ხალხი დარწმუნდა სკოლების სარგებლობას, ადგილობრივ მცხოვრების, მასწავლებლის ა. სვანიძის მაცადინეობით სოფელმა საჩულიამ ორის წლის წინათ დაადგინა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, ერთ-კლასიან სასწავლებლის ორკლასიანად გადაკეთების შესახებ. ეს შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა. ხაზინა აძლევს სკოლას წელიწადში 400 მანეთს.

11 აგვისტოს მოხდა საჩულიის მცხოვრებთა კრება სამარხ კასის დასაარსებლად.

კრებამ ერთ-ხმად გადასწყვიტა შუამდგომლობა აღძრას ამ საქმის გამო; აქვე შეიკრიბა ცოტაოდენი ფულიც.

ჰფიქრობენ ჩვენ სოფელში შემნახველ-გამსესხებელ ბანკის დაარსებასაც. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ განზრახვასაც განახორციელებენ.

ჩვენისა და ახლო-მახლო სოფლების უბედურება უგზოობაა. ცუდის გზების გამო დიდ დაბრკოლებაში არიან მცხოვრებნი, განსაკუთრებით ზამთრობით. ოქტომბრიდან გაზაფხულამდე ყოვლად შეუძლებელია მგზავრობა როგორც ფეხით, ისე ურმითა და ცხენით.
ს. ს.

—

ცაგერი (ლეჩხუმი). თითქმის სამი თვე არის, რაც მდინარე ცხენისწყალმა დაანგრია ცაგერში ხიდი და ამით მიმოსვლა გააძნელა. თუ ცოტა ხანში არ შეაკეთეს ხიდი, ხალხი დიდ გაჭირვებაში ჩავარდება. ხიდის დანგრევის შემდეგ გამართეს ბორანი, რომელზედაც ძლიერ შიშით და კანკალით უნდა გავიდეს კაცი მეორე ნაპირამდე, ისიც მაშინ, როდესაც კარგი დარია. კვირა ნახევარი გავიდა, რაც ფოსტა არ მოუსვლია, რის გამო ძლიერ შეწუხდნენ ყველანი. თუ ამ მდგომარეობაში ზამთარმა მოგვისწრო, ჩვენი გაჭირვება გაორკეცდება.

ცაგერის მახლობლად, ლაილაშში წარსულ კვირას შემდეგი ამბავი მოხდა. ერთს დღეს სათოხნად წასულან ყანაში მამა-შვილი და გასათხოვარი ქალი. მუშაობის დროს გაავდრებულა, რის გამო მომუშავენი ხის ქვეშ დამსხდარან. უეცრად გავარდნილა მეხი და მამა-შვილი იქვე მოუკლავს.

გასათხოვარი ქალი გადარჩენილა სიკვდილს, მაგრამ ნამეტანის შიშის გამო დამუნჯებულა, ხოლო როდესაც სახლში მისულა, ჭკუაზედაც შერყეულა.
დ. ნელი.

—

ნაფაცხვარი (გურია). აჭარა-გურიის მთის მარცხენა კალთაზე, 17 ვერსის მანძილზე ოზურგეთიდან, მდებარეობს პატარა აგარაკი—ნაფაცხვარი. თვალ-წარმტაცი მდებარეობა სიამოვნებას ჰგვრის მნახველს. ნაფაცხვარი სამისავე მხრით შემოზღუდულია მშვენიერის ნაძვის ტყით, ხოლო მეოთხე, დასავლეთის, მხრით გადაჰყურებს თითქმის მთელს ქუთაისის გუბერნიას და შავ-ზღვას.

ამ აგარაკის მშრალს და ზომიერს ჰავას გასაოცარი ზეგავლენა აქვს ხოლმე ადამიანის ჯანღონეზე. საკმაოა ხუთი-ექვსი დღე, რომ ავადმყოფმა თავი უკეთ-იგრძნოს. სახელ-განთქმულია აგრეთვე ნაფაცხვარის მეზობელი-ბახმაროც. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ აგარაკებს შორის ჰავის მხრით გარჩევაა. როგორც გამოცდილებამ დაგვარწმუნა, პირველის ჰავა ძალიან უხდება მადიარიით ავადმყოფს, ხოლო მეორესი—გულ-სუსტს და ჭლექიანს. სამწუხაროდ, ექიმებს ჯერთავიანთი აზრი არ გამოუთქვამთ ამ აგარაკების შესახებ. ამას გარდა ასავალი გზაც ორსავე აგარაკს ცუდი აქვს, ასე რომ ფეხიანი კაცი ამ

გზებზე თავ-დაუზღვეველი არც იმგზავრებს. საჭიროა აგარაკებისა და სახლების მეპატრონეებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და ცოტად მაინც შეაკეთონ უვარგისი და სახიფათო გზები.

ნაფაცხვარში წელს ოცამდე კოხტა სახლია და სამი პატარა დუქანი. მეაგარაკეთა რიცხვი ორასს სულს აღემატება. რა თქმა უნდა, ბევრად მეტი იქნებოდა, რომ სხვა მიზეზებთან ერთად სახლების სიმცირესაც ხელი არ შეეშალა.

წლევანდელმა სეზონმა სწორედ რომ მშვენივრად ჩაიარა. დიდად ასიამოვნა საზოგადოება ბ-ნმა გიგინეიშვილმა, რომელმაც მთავრობის ნებართვით იგლისის დამლევს გამართა უფასო წარმოდგენა და კონცერტი. ეს გარემოება იმითია მნიშვნელოვანი, რომ წარმოდგენას დაესწრო ბევრი მაჭმადიანი ქართველი. ითამაშეს ვოდევილები. წაიკითხეს აგრეთვე რამდენიმე ლექსი და შეასრულეს ქართულ-რუსული სიმღერები.

გ. უ.

უცხოეთის წვრილი ამბები

ინგლისელი ქალები და უმაღლესი სწავლა. როგორც გამოუკვლევიათ, უმაღლესის სწავლის მიღება თურმე სრულებით უკარგავს ინგლისელ ქალებს გათხოვების სურვილს. ასს ამისთანა ქალზე თურმე ოცდა ორზე მეტი არა თხოვდება. რა თქმა უნდა, ძლიერ ცოტა რიცხვია შედარებით ყველა ქალების რიცხვს რომ შევადაროთ. უანგარიშნიათ ეს რიცხვი და გამოსულა, რომ ყველა გასათხოვარ ქალების რიცხვიდან ასზე მხოლოდ ოთხმოცი თხოვდება.

* *

არ ჩააცვათ ბავშვებს ნაცრის ფერი ტანსაცმელი ორ წელიწადზე ადრე: თურმე გამოუკვლევიათ, რომ ამ ფერის ტანთ-საცმელს ცუდი გავლენა აქვს ბავშვის გუნებაზე, ყველაზე უფრო ამხიარულებს ბავშვს წითელი ფერი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 აგვისტო

ცარსკოე-სელო. დღეს მოვიდნენ აქ დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე და მისი მეუღლე.

ხარკოვი. უსპენსკის იარმუკობა დაიწყო.

ხარბინი. 40 დღის განმავლობაში, რაც ხარბინში ხოლერა მძვინვარებს, გადაიცვალა 250 ევროპიელი და 807 ჩინელი. ავადმყოფობამ ამ ჟამად იკლო.

სარატოვი. ქალაქის მმართველობა შუამდგომლობს ქალაქის ტელეფონების წარმოება თვით ქალაქს გადაეცეს. ქალაქი აცხადებს, რომ ტელეფონის ფასს 55 მანეთამდე დავიყვანთო.

მოსკოვი. დიდი მთავრის ვლადიმირის ასულის ელენესა და საბერძნეთის მთავრის შეუღლების დღეს ბერძენთა საკრებულო ტაძარში სამადლობელი პარაკლისი იქმნება გადახდილი. მოსკოვში მცხოვრებ ბერძნებმა დაამზადეს სარდაფზე გამოქანდაკებული ხატი ივერიის ღვთის-მშობლისა, რომელსაც უავგუსტოესს მეფე-დედოფალს მიართმევენ.

ბრესტი. ქალაქ ლანდერნოდან განდევნილ მონაზვნებმა ხელ-ახლა დაიჭირეს თავისი ადგილი, რადგან კონგრეგაციის არხივში 1828 წლის ისეთი დეკრეტი აღმოუჩენიათ, რომელიც მფარველობას აღუთქვამს. ხალხი მხიარულად მიეგება მონაზვნებს.

ნიცა. მიწათ-მოქმედების მინისტრი ერმოლოვი აქ მოვიდა.

ჟენევი. იტალიის მეფეს შვეიცარიის შეერთებულ საბჭოს წარმომადგენელნი მიეგებნენ. საერთო შვეიცარიის პრეზიდენტმა იტალიის მეფისა, იმის სახლეულობისა და იტალიის ხალხის სადღეგრძელო წარმოსთქვა. მეფემ საპასუხო სადღეგრძელო წარმოსთქვა: შეერთებულ შვეიცარიას თავისი თანაგრძნობა გამოუცხადა, შეერთებულ საბჭოს და შვეიცარიის ხალხს კეთილ-წარმატება უსურვა.

იოჰანესბურგი. გაზეთი „ლიდერ“-ი იუწყება: კრიუგერსდორპიდან რუსტენბურგს, მერე იქიდან დასავლეთ საზღვრებისაკენ დიდი ჯარია იგზავნება. ჯარის გაგზავნა იმათ აიხსნება, რომ უნდათ მკვიდრთა აღელვება შეაჩერონ. მთავრობის წარმომადგენელნიც ამბობენ ჯარები გაიგზავნაო, მაგრამ, იმიტომ გაიგზავნა, რომ ამ ჯარებმა იმათი მაგიერობა უნდა გასწიონ, რომელნიც ინდოეთს დაბრუნდნენო.

სევასტოპოლი. ნაღმის მატარებელი გემი № 257 იალქნიან გემის საშველად გავიდა ზღვაში, მაგრამ ვინტი და ჯაჭვი გადაეხლართა და ზღვის ზვირთებმა ხერსონის შიაკის ქვებზე გამოაგდო. გემზე მოსამსახურენი ყველანი გადარჩნენ.

ნიუ-იორკი. ავგუსტოში რუზველტმა სიტყვა წარმოსთქვა და სთქვა შემდეგი: „მონროეს დოქტრინას მტკიცედ ასრულება არასოდეს არ ყოფილა ჩვენთვის ისეთი ცხოველ-მნიშვნელოვანი, როგორც დღეს. ამ დოქტრინის მიხედვით ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ სხვა ხალხების წარმომადგენელნი ამ ქვეყანაში საკუთრივ თვით უნდა ეცადნენ ერთმანეთ შორის თავიანთ მომავალისათვის. ხოლო ერთად-ერთი სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია ამ დოქტრინას მართლა ნამდვილი ხასიათი მისცეს, უეჭველ ეჭვს გარეშე, შეერთებული შტატებია, რადგან ამ დოქტრინისათვის საჭირო ძალა და საშუალებაც შტატების ხელშია“.

პეტერბურგი. დღეს ცარსკოე-სელოში მოვიდნენ საბერძნეთის მემკვიდრე კონსტანტინე და მეუღლე იმისი სოფიო.

საბერძნეთის პრინცები გიორგი და ანდრი დღეს პეტერჰოფს მოვიდნენ.

გემების აშენებელ უფროსმა სამმართველომ განკარგულება მოახდინა საზღვაო დაწესებულებაში, რომ ამას იქით თუ რამ დასჭირდათ საშენებელი მასალა, ყოველივე ეს აცნობონ უფროს სამართველოს და სამმართველოც იყორის ქარხნებს შეუკვეთს.

15 აგვისტო

თემირ ხანშურა. ჭირნახული მინდვრებიდან სულ აიღეს. პურის მოსავალი საშუალოზე ნაკლებია, ბალახისა— ცუდია, ყურძნისა—დიდი.

ვილდპარკი (პოტსდამის ახლო). იტალიის მეფე ჩამოვიდა; მიეგებნენ იმპერატორი, მემკვიდრე, პრინცები ეიტელი, ფრიდრიხი და იოახიმე, კანცლერი და ფელდმარშალი ვალდერზეე. მეფე და იმპერატორი სიყვარულით მიესალმნენ ერთმანერთს და რამდენჯერმე ერთმანერთს გადაეხვივნენ. ახალს სასახლეს წავიდნენ იმპერატორი და მეფე იტალიისა ერთად. და კანცლერი და პრინეტი ერთად. ხალხი „ურა“-ს ძახილით უხვდებოდა. იტალიელი მუშები მხიარულად ეგებებოდნენ მეფეს.

პეტერბურგი. სახალხო განათლების სამინისტროს გამგებელმა შემდეგი ბრძანება გამოსცა: ამას იქით მოისპობა ის წესი, რომლის ძალით საშუალო სკოლებში სწავლა-დამთავრებულის დამახასიათებელი საიდუმლო ცნობები უნდა წარედგინათ უნივერსიტეტის რექტორისათვის, თუ უმაღლესს სპეციალ სასწავლებლის დირექტორისათვის. სამაგიეროდ, საშუალო სკოლაში სწავლა დამთავრებულს ამას იქით წინ-და-წინ მიეცემა სრული ცნობები იმის კონდიუტიდან. ვინც თხოვნას მისცემს სტუდენტად მიმიღეთო, ეს ცნობებიც თან უნდა წარადგინოს. რამდენიც დაწესებულია უმაღლესს სასწავლებელში მისაღები ადგილი იმდენივე დარჩება, მხოლოდ სასწავლებლის გამგებელთ უფლება აქვთ დანიშნულ ასს ადგილზე კიდევ ზედ-მეტი ათი კაცი მიიღონ.

წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტის პირველ კურსზე ნება აქვთ მიიღონ განსაზღვრულ რიცხვზე ორასამდე ზედ-მეტი.

ქალთა უმაღლესს კურსებზე მოსკოვში ნება ეძლევათ სამასამდე ქალი იყოს მოსწავლე.

ებრაელთა შესახებ მომავალ წლისათვის აღდგენილ იქნება ვარშავის და ნოვოროსიის უნივერსიტეტისა და რიგას საპოლიტეხნიკო ინსტიტუტისათვის ის პროცენტი, რომელიც შემცირებული იყო 1901 წლის განკარგულებით. ებრაელ მოსწავლეთა პროცენტი ყველა უმაღლეს სასწავლებელში უნდა გამოიანგარიშებოდეს საერთოდ იმ მოსწავლეთა რიცხვის შედარებით, რომელნიც ახლად მიიღებიან.

უმაღლესს სასწავლებლებში იმ მოსწავლეთა მიღება, რომელნიც, არეულობის გამო, უვადოდ იყვნენ დათხოვნილნი, შესაძლებელი იქმნება მხოლოდ 1903—1904 სააკადემიო წლების დასაწყისს; რომელნიც, კიდევ არეულობის გამო, ვადით იყვნენ დათხოვნილნი, მიღებულ იქმნებიან ვადის გათავების შემდეგ; რომელნიც დათხოვნილნი იყვნენ და აკრძალული არ ჰქონდათ სხვა სასწავლებელში შესვლა,—მიღებულ იქმნებიან არა უადრეს 1903—1904 წლების დასაწყისამდე.

ხარკოვი. დღეს უნივერსიტეტის დარბაზში დაიწყო მეთორმეტე საარქეოლოგიო კრება. საპატიო თავმჯდომარემ დიდმა მთავარმა სერგეი ალექსანდრეს ძემ დეპეშა გამოგზავნა. თავმჯდომარეობდა გრაფინია უვაროვისა.

პინსკი. მოხდა პირველი კრება სამაზრო კომიტეტისა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა შესახებ მოსალაპარაკებლად.

კონსტანტინეპოლი. შავის ზღვის ფლოტის უფროსი ვიცე-ადმირალი ტირტოვი მაშინ მოვა, როდესაც რუსეთის ელჩი იქნება აქ. ელჩი მომავალ კვირას დაბრუნდება.

ხარკოვი. საარქეოლოგიო კრების გუშინდელს სხდომაზე თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა გრაფინია უვაროვისა.

16 აგვისტო

გურზუფი. იუსტიციის მინისტრმა დაათვალიერა გურზუფის მამულები და იალტას დაბრუნდა.

კონსტანტინეპოლი. გუშინ ილდიზ-კიოსკში მიწვეული იყო სომეხთა პატრიარქი ორმანიანი; აქ გამოუცხადეს, რომ განსაკუთრებულ ზომებს აღარ მიიღებენ სომეხთა წინააღმდეგ, თუ პატრიარქი დადგება იმათ თავდებათ. საპატრიარქო საბჭოს კრებაზე შეადგინეს ადრესი, რომელშიაც აცხადებენ სომხების ერთგულებას სულთანისადმი. იმედი აქვთ, რომ ტახტზე ასვლის დღესასწაულების, 19 აგვისტოს, წინა დღით შესაფერი ბრძანება გამოვა სულთანისა.

ლილი. კანადის პირველმა მინისტრმა ლორიემ, რომელიც აქაურ გამოფენის სანახავად მოვიდა, ნადიმზე სთქვა, რომ საქმის მიმდინარეობამ კანადა მოაშორა საფრანგეთს, მაგრამ გაჭრული ურთიერთ შორის დამოკიდებულება დარჩება და კანადაში მუდამ ფრანგებისათვის კარგი საცხოვრებელი იქმნება.

ბერლინი. იტალიის მეფე და იმპერატორი დღეს ბერლინში იყვნენ, დაესწრნენ ახალ დროშების კურთხევას, სადღესასწაულო სადილს და წარმოდგენას და უბოძა კანცლერს ანნუნციატის ორდენი ნიშნად სამთა კავშირის განახლებისა. ცანარდელის ებოძა შავი არწივის ორდენი, პრინეტის გვირგვინი ორდენი.

ბერლინი. გემზე გამართულ სადილზე მეფის სადღეგრძელოს დროს იმპერატორმა სთქვა, რომ სალამს აძლევს მას საზოგადოდ მიღებული ზრდილობისა გამო კი არა, არამედ გულითადის გრძნობით, როგორც ძეს მეფე ჰუმბერტოსას, გულ მართალის და უშიშარი რაინდისას, როგორც მეფეს მშვენიერი იტალიისას, როგორც ერთგულს მონაწილეს სამთა კავშირის განახლებისას; ეს კავშირი თავდები იყო ევროპის მშვიდობიანობისა რამდენიმე ათი წლის განმავლობაში, და, ღვთით, შემდეგშიაც დიდხანს გასტანს იგი. დასასრულ იმპერატორმა წარმოსთქვა „ვაშა“ მეფის მიმართ. მეფემ იტალიანურად უპასუხა, რომ გულითადი განწყობილება იმპერატორისა მეფისადმი მისთვისაც საგულებელია; მისთვისაც სასიამოვნოა მოგონება წინაპართა მეგობრობისა; ამ მოგონებათა დროშებს ორივე ხალხი გაჰყვება ცივილიზაციის გზით, რომელსაც ჰფარავს დიდი ხნის მშვიდობიანობის მომასწავებელი მეგობრობა. მეფემ დალია სადღეგრძელო ძლევა მოსილი გერმანიის, რომელსაც შრომისა და ცოდნის სხივი ადგია.

ლონდონი. ნიუკასტლის გაზეთები იტყობინებიან, რომ რუსეთიდან გამოგზავნილებმა ინახულეს ქალაქ ნიუკასტლის მმართველობის წარმომადგენლები, რათა მოელაპარაკონ გემების მიმოსვლის მოწყობის შესახებ რუსეთსა და ინგლისს შუა. საქალაქო მმართველობის წარმომადგენლებმა აღუთქვეს, უეჭველ გვარ საშუალებას ვიხმართ საფერო ერთობის მოსაწყობათაო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

განცხადებანი

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდონრინი“ მ. ვ. ლებედევისა,
ეს საშუალება რამდენიმე დღეში სპობს სრულებით მაზოლსა და მეჭეჭს ძირიანად. უნდა ჰქონდეს ეტიკეტი, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.
ისყიდება ტფილისში—საათფიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში და მის განყოფილებებში—ბაქოსა და ბათუმს. (ნ. 25—14).

ახალი წიგნი
ფიზიოლოგია
დ-რი ფოსტერისა
სურათებით
ფასი 25 კ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში.

საათფიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის
დეპო
(მუხრანიანთ ქუჩიდან) და
მაღაზია
(სასახლის ქუჩიდან)
გადაღმის ერთ შენობაში „სევერნი ნომრების“ ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინსკი პროსპექტის ახლო), (0—10)

ახალი სახურავი,
რომელზედაც პატენტია აღებული.
ფაბრიკა და სარცხვო ქარხანა
ი. მელენგოვსკის
და
ამხანაგობისა
ბათუმში.
პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკაზმულ რკინისა.
პრეის-კურანტი მოთხოვნისათანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.
ამხანაგობის წარმომადგენელნი:
ტფილისში **გ. მელიქსეტოვი** (ერევნის მოედანზე № 25)
ქუთაისში **ვ. ჩილაძე** (ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.) (50—11)